# შპს „ ფირი“

ს/ნ 400176304

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება
(მე - III კატეგორია)

# სარჩევი


1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ფორმა 1) ........................................................ 2
2. ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (ფორმა 2) ........................................... 4
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა 3) .................................................. 5

განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები
5. კომპანიის შემოსავლები
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
7. ფინანსური ხარჯები
8. ფული და ფულადი ექვივალენტები
9. მოთხოვნები
10. კაპიტალი
11. მიღებული სესხები
12. სხვა ვალდებულებები
13. პირობითი ვალდებულებები
14. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შპს ფირი   ს/ნ 400176304

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

**2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის**

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

## ფორმა N1: ფინანსური მდგომარეობა

| აქტივები | 31.12.2021 | 31.12.2020 | 31.12.2019 |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 29413 | 285600 | 43627 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 557870 | 260337 | 118173 |
| ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 4648 | 112591 | 161689 |
| მარაგები | 85264 | 43555 | 95357 |
| მზა პროდუქცია | | 0 | 0 |
| სხვა | 4185 | 43555 | 95357 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები | | 0 | 0 |
| თვითღირებულების მოდელით | | 0 | 0 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | | 0 | 0 |
| ძირითადი საშუალებები | 627128 | 358870 | 102987 |
| ინვესტიციები | | 0 | 0 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 153569 | 98697 | 70590 |
| **სულ აქტივები** | **1462077** | **1159650** | **592423** |
| **ვალდებულებები** | | | |
| საიჯარო ვალდებულება | 0 | 0 | 0 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 243162 | 180977 | 105395 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 15607 | 32359 | 15190 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 12209 | 3577 | 5616 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | | 81 | 86 |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 837924 | 696100 | 288484 |
| სხვა ვალდებულებები | 10994 | 17914 | 17105 |
| **სულ ვალდებულებები** | **1119896** | **931008** | **431876** |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში ) | 31837 | 31837 | 31837 |
| გაუნაწილებელი მოგება | 276819 | 163280 | 95185 |
| დაგროვილი ზარალი | | 0 | 0 |
| გადაფასების რეზერვი | 33525 | 33525 | 33525 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა რეზერვები | | 0 | 0 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | **342181** | **228642** | **160547** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | **1462077** | **1159650** | **592423** |

**ხელმძღვანელი:**

**მთ. ბუღალტერი:**

400176304

GEORGIA. "PHIRI" LTD

შპს ფირი ს/ნ 400176304
ფინანსური შედეგების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

## ფორმა N2: საქმიანობის შედეგები

| საქმიანობის შედეგები | 31.12.2021 | 31.12.2020 |
|---|---|---|
| ნეტო ამონაგები | 4139471 | 2596708 |
| საქონლის გაყიდვიდან | 4139471 | 2596708 |
| სხვა | 0 | 0 |
| გაყიდვების თვითღირებულება | -3342507 | -2052498 |
| საერთო მოგება | 796964 | 544210 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | | 6323 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | -243932 | -259403 |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | -61236 | -51197 |
| საპროცენტო შემოსავალი | 0 | 0 |
| საპროცენტო ხარჯი | -54774 | -9700 |
| იჯარის ხარჯი | -41850 | -53850 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -308155 | -119061 |
| სულ საოპერაციო ხარჯები | -709947 | -486888 |
| საოპერაციო მოგება | 87017 | 57322 |
| **გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:** | | |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | | 0 |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | | 0 |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 4473 | 4451 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) | 22049 | 6322 |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | 113539 | 68095 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | 0 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი | 113539 | 68095 |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):** | | |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი | | 0 |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | | 0 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ: | | 0 |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) | 113539 | 68095 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 228642 | 160547 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') | | 0 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | | 0 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | | 0 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | | 0 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 342181 | 228642 |

**ხელმძღვანელი:**

**მთ. ბუღალტერი:**

საქართველო, შპს "ფირი" * 400176304 * GEORGIA. "PHIRI" LTD

შპს ფირი ს/ნ 400176304
ფინანსური სახსრების მოზრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

## ფორმა N3: ფულადი სახსრების მოძრაობა

| ფულადი სახსრების მოძრაობა | 31 12 2021 | 31 12 2020 |
|---|---|---|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | -256187 | 4182496 |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | | 0 |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 0 | -3940523 |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) | | 241973 |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | | 0 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 285600 | 43627 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 29413 | 285600 |
| | | |

ხელმძღვანელი:

მთ. ბუღალტერი:

შპს "ფირი" 400176304 GEORGIA. "PHIRI" LTD

შპს ფირი ს/ნ 400176304
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

1. კორპორაციული ინფორმაცია

„შპს ფირი" არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსბულია საქართველოში 2016 წლის 6 დეკემბერს.

შპს „შპს ფირი" ს იურიდიული მისამრთია: თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, წყალსადენის ქ.N10, ხოლო წარმოება ფუნქციონირებს: თბილისი, ზღვისუბანი, ისაკიანის ქN1 ში

საზოგადოების დამფუძნებლები 50-50 %- იანი წილით არიან ირაკლი სიხარულიძე და რუსუდან სიხარულიძე.

საზოგადოების ძირითადი საქმიანობის სფეროა პოლიეთილენის ფირის წარმოება და მისგან სხვადასხვა ზომისა და ფორმის პოლიეთილენის ტომრების დამზადება.

2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის მიერ მსს ფასს–ის (IFRS for SMEs) შესაბამისად, მსს ფასს-ის 1-განყოფილების ,, მცირე და საშუალო საწარმოები " და 3- განყოფილების „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" გამოყენების დანერგვის ხელშეწყობის მიზნებისთვის 20201 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

მსს ფასს–ის მიხედვით კომპანია პირველი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მინიმუმ სამი საანგარიშგებო პერიოდისთვის ამზადებს შემდეგ ანგარიშგებებს: ფინანსური შედეგების (ანუ მოგება–ზარალი) ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება, ასევე, მინიმუმ სამი საანგარიშგებო პერიოდისთვის – ფინანსური მდგომარეობის (ანუ ბალანსები) ანგარიშგებას, შესაბამისად მზადდება განმარტებითი შენიშვნებიც. თუმცა, ,,ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ" კანონის მიხედვით კომპანიას აქვს უფლება გამოსცეს მხოლოდ საანგარიშგებო წლის პერიოდის (ამ შემთხვევაში 2021 წელი) მოგება–ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებები და ორი პერიოდის საბალანსო ანგარიშგება (ამ შემთხვევაში 2021 წლის საწყისი და საბოლოო პერიოდები).

აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად, კომპანიისთვის მსს ფასს –ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნითა და ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის" მიხედვით დანიშნულებისამებრ წარსადგენად. კომპანიის მსს ფასს–ზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი. აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ მოიცავს შედარებით ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდებისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ფასების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ერთ ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

### 3. 1 უცხოური ვალუტა

ლარი არის შპს „შპს ფირი" -ის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც საზოგადოება ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები აღირიცხება, ამ ტრანზაქციის განხორციელების დღის არსებული კურსით .რომლისთვისაც გამოიყენება ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით.

### 3.2 აქტივები

საზოგადოება ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/ გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

### 3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, სათანადო ცვეთების გათვალისწინებით.

#### 3.3.1 აღიარება და შეფასება

საზოგადოება ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალურ აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით და ცვეთას არიცხავს პროპორციულად სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. თუ საზოგადოების მფლობელობაში არსებული ძრითდი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში.

ნებისმიერი შემოსავალი ან ხარჯი რომელიც წარმოიქმნება აქტივის ამოღებიდან (გამოითვლება როგორც განსხვავება შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აღირიცხება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ხდება აქტივის ამოღება.

#### 3.3.2 ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები

თუ ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს ამ საშუალებისგან მიღებული შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ დანახარჯი აუცილებელია რათა შენარჩუნდეს, ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

#### 3.3.3 ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით,

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

### 3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გაყიდვისთვის განკუთვნილი, და არა იჯარით გაცემის ან სამომავლო განვითარების მიზნით, შეძენილი აქტივები კლასიფიცირდება როგორც სასაქონლო–მატერიალური მარაგები და აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიას სასაქონლო-მატერიალური მარაგების სახით გააჩნია პოლიეთილენის ფირის დასამზადებლად ნედლეული, ე.წ პოლიეთილენის გრანულები, რომელიც წარმოადგენს ძირითად მასალას ფირების დასამზადებლად.ასევე გამოიყენება სხვადასხვა ფერის საღებავი, აღნიშნულიმასალები აღირიცხება თვითღირებულებით.

### 3.5 შემოსავალი

შემოსავლები აღიარდება მაშინ როცა სავარაუდოა, რომ საზოგადოებას ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ. მიუხედავად იმისა, როდის მოხდება გადახდა. შემოსავლების განსაზღვრა ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

### 3.6 გადასახადები

#### 3.6.1 მოგების გადასახადი

2018 წლის 1 იანვრიდან საზოგადოება გადასულია მოგების გადასახადის გადახდის ესტონურ მოდელზე, როდესაც ხდება მოგების განაწილება დამფუძნებელზე მაშინ მოგების გადასახადი 15 % -ის ტოლია.

#### 3.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შპს „შპს ფირი"ს ძირითად გადასახადს წარმოადგენს დღგ, რომლის დაბეგვრის ობიექტია დამზადებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები, რომელიც განისაზღვრება გადატვირთული საქონლის ღირებულებით. დღგ ს გადასახადი მცირდება ნედლეულის შეძენაზე გადახდილი დღგ ს თანხით.

### 3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება მიმდინარე საბანკო ანგარიშებისაგან.

### 3.8 სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, საზოგადოება აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზირებული ღირებულებით, სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, შესწორებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ამ ფინანსური ანგარიშგებისმომზადებისას. ზემოთ აღნიშნულიდან სავარაუდოდ შემდეგი ცვლილებები გავლენას მოახდენს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე. კომპანია გეგმავს აღნიშნული სტანდარტების ცვლილებების ასახვას მათ ძალაში შესვლისთანავე.

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

## 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდში.

## 5. საზოგადოების შემოსავლები

საზოგადოების შემოსავალი შედგება: წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისგან.და აქვს ასევე სხვა სამეწარმეო შემოსავლებიც.

## 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

| | 2021 წელი |
|---|---|
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება | 3342507 |
| ხელფასი | 243932 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 61236 |
| საპროცენტო ხარჯი | 54774 |
| საიჯარო ქირა | 41850 |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი | 309180 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | |
| სულ ხარჯი | 4053479 |

2021 წლის განმავლობაში საზოგადოებას სრულ განაკვეთზე საშუალოდ დასაქმებული ჰყავდა - 18 თანამშრომელი.

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

## 7 .ფინანსური ხარჯი

| | 2021 |
|---|---|
| ფინანსური ხარჯი ბანკისგან სესხებზე | 54775 |

## 8. ფული და ფულის ექვივალენტი

| | 31.12. 2021 წლის | 01.01.2020 წლის |
|---|---|---|
| ფული ბანკში | 29413 | 285600 |

## 9. მოთხოვნები

მოთხოვნები, აღირიცხება გადატვირთული საქონლის მიხედვით.

## 10. კაპიტალი

### 10.1 საწესდებო კაპიტალი

კომპანიას გააჩნია საწესდებოკაპიტალი, 31837 ლარი.

### 10.2 დივიდენდები

კომპანიის პარტნიორები არის ორი ფიზიკური პირი თანაბარი პროპორციით. ისინი წყვეტენ დივიდენდის ოდენობისა და მისი განაწილების საკითხს.

## 11. მიღებული სესხები

| | საპროცენტო განაკვეთი | ხანდაზმულობა | ვალუტა | 2022წ. 1 იანვარი | 2021 წ. 1 იანვარი |
|---|---|---|---|---|---|
| ადგილობრივი ბანკებიდან ნასსხები სახსრები | 7.9% | 05/08/2021 | GEL | | 374990 |
| ადგილობრივი ბანკებიდან ნასსხები სახსრები | 7.9% | 07/09/2020 | GEL | | 345365 |
| ფიზიკური პირებისგან ნასესხები | 15% | 01.06.2018 | GEL | | 101588 |
| იურიდ. პ-სგან ნასესხები | 5,5% | 05.05.2019 | GEL | | 139472 |

შპს ფირი ს/ნ 400176304
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

თანხები წარმოდგენილია ლარებში, თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

| | | |
|---|---|---|
| 13. სხვა ვალდებულებები | 10994 | 234908 |
| საერთო ვალდებულება | 119896 | 931008 |

14. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო დაბეგვრა საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები. ოფიციალური გამონათქვამები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, ეწინააღმდეგება ერთმანეთ და სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება. პრაქტიკულად არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უაყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ წინა სამი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები შესატყვისობაშია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან. თუმცა, შესაბამისი სგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენა ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაცია იყო მართალი, მათი ინტერპრეტაციის განხორციელებისას, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკი.ყოველი საანგარიშო თარიღის მიხედვით ხელმძღვანელობა ახდენს საგადასახადო რისკების შეფასებას და განხილვას იმ შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება შესწავლილ იქნას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ. როცა ამის რისკის დადგომის ალბათობა იქნება მაღალი, კომპანია შექმნის შესაბამის რეზერვებს.

15. რეალიზაცია

| | 2021 წლის 31 დეკემბრით |
|---|---|
| 1.რეალიზებული მზა პროდუქციის ღირებულება | 4139471 |
| 2.შემოსავალი საკურსო სხვაობიდან | 4473 |
| 3. სხვა საოპერაციო შემოსავალი | 23074 |
| **სულ შემოსავალი** | **4167018** |

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების გარდა, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომნლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგების კორექტირებას.

ხელმძღვანელი :

ბუღალტერი:

საქართველო. შპს "ფირი"
400176304
GEORGIA. "PHIRI" LTD